შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 8ა Tamar Mefis gam 8a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecnm@gmail.com

23.01.2018 № 08-08-15
თქვ. №

დასკვნა

ზაჰესი, ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე, ყოფილი ინსტრუმენტების ქარხნის (ს/კ 01.11.04.003.001) სარეკონსტრუქციო შენობა №01-ის ტექნკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის ჩატარების მიზნით.

თბილისი
2018 წ

ვამტკიცებ შ.პ.ს. „შენობა ნაგებობათა
კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს
დირექტორი „[illegible]“ დ. ტაბატაძე
„23“ „01“ 2018 წ

დასკვნა

ზაჰესი, ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე, ყოფილი ინსტრუმენტების ქარხნის (ს/კ 01.11.04.003.001) სარეკონსტრუქციო შენობა №01-ის ტექნკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის ჩატარების მიზნით.

შემსრულებელი:
პროფესორი, /დ. ჯანყარაშვილი/

თბილისი
2018 წ

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა -რეკომენდაციები.....6
6. დანართი 7

1.ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2018 წლის 21 იანვარს სს „თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნის“ დირექტორი არჩილ ხომასურიძესა და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი''-ს დირექტორს დემურ ტაბატაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ზაჰესი, ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე, ყოფილი ინსტრუმენტების ქარხნის (ს/კ 01.11.04.003.001) სარეკონსტრუქციო შენობა №01-ის ტექნკური მდგომარეობის გამოკვლევა მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის ჩატარების მიზნით.

2.გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000"№1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM" №1WR51706;

3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №110

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „მეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“

(პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4.სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений

4. კვლევითი ნაწილი

საპროექტო ტერიტორიას ზაჰესში ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხანძთელის ქუჩა, სამხრეთიდან გრუნტის გზა, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან კერძო მფლობელობაში არსებული საწარმო და საცხოვრებელი ნაკვეთები. საპროექტო შენობა დაპროექტებულია კარკასული სქემით, ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისაგან.

შენობის საძირკველი წერტილოვანია, რკინაბეტონის. შენობა კარკასული ნაგებობაა. ანაწყობი რკინაბეტონის კოლონები განლაგებულია 12 მ-იანი ბიჯით. მალი კოლონებს შორის 23,5მ-ია და მასზე 23,5მ-იანი ბეტონის წინასწარ დაძაბული ფერმებია მოწყობილი, ამ ფერმებზე 12მ-იანი გადახურვის ფილებია დამონტაჟებული. შენობის გრძივი მიმართულებით 23,5მ-იანი სიგანის მალები განლაგებულია 12მ-იანი ბიჯით (ყოველ 6 მ-ში ფახვერკის ლითონის კოლონებია ჩამატებული) მე-9 ღერძამდე,ხოლო მე-10ღერძი 5 მეტრიანი ბიჯითაა განლაგებული,რის შემდეგაც შენობა ვიწროვდება 18 მ-დე და კოლონებიც გრძივი მიმართულებით 2ც 12მ-იანი ბიჯითაა განლაგებული. შენობის კედლები მოწყობილი იყო 12X1,2X0,25მ ასაწყობი რკინაბეტონის კედლის პანელებისაგან. ამჟამად კედლის პანელები დემონტაჟებულია. შენობის გარე პერიმეტრზე. კუთხეზე მოშენებული იყო 4 მ სიმაღლის შენობა 04. შენობის ფუქციონალური დანიშნულების შეცვლის გამო ქარხნის ტერიტორიაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებით მოხდა 04 შენობის მთლიანი დემონტაჟი. ხოლო შენობა 01-ის 2ც 12X18მ-იანი მალის და ერთი 6X23,5მ მალის დემონტაჟი მე-9 ღერძამდე და ეხლა ხდება 01 შენობის რეკონსტრუქცია 1-9 და ა-ბ ღერძებში.

არსებული შენობა-01 ფუქციონალური დანიშნულების შეცვლის გამო გახდა სასაწყობე შენობაა და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭიროებს ეზოს მხრიდან ე.წ. რამპის მიშენებას, რომლის ფუნქციაა ტვირთის მიღება, გადმოტვირთვა და გადახარისხება, რის შემდეგაც ხდება მისი დასაწყობება. მისაშენებელი შენობა მოეწყობა არსებული საწყობის მთელ სიგრძეზე და სიგანე ექნება 18მ. ეზოს მხრიდან მასზე მოეწყობა ე.წ. დებარკადერი სატვირთო ავტომანქანებისთვის სიმაღლით 1,1- 1,2მ, რაც მოსახერხებელს გახდის გადმოტვირთვის პროცესს. მიშენების შემდეგ ორივე შენობა იქცევა ერთ დიდ საწყობად, რომლის დასასაწყოებელი პროდუქციაა ქაღალდის რულონები და სარეცხი საშუალებები.

ზემოთ აღნიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია, სარეკონსტრუქციო უნდა შესრულდეს სათანადოთ დამუსავებული პროექტის მიხედვით, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით.

ახალ სარეკონსტრუქციო შენობას მომიჯნავე შენობები არ გააჩნია, ხოლო ძველ არსებულ ნაგებობაზე მიდგმულ ადმინისტრაციულ შენობაზე რეკონსტრუქცია უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

5. დასკვნა-რეკომენდაციები

ზაჰესი, ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე, ყოფილი ინსტრუმენტების ქარხნის (ს/კ 01.11.04.003.001) სარეკონსტრუქციო შენობა №01-ის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. შენობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია. მის მზიდ კონსტრუქციებს არ გააჩნია ჯდენით დეფორმაციების (ბზარები) ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ნაგებობის მდგრადობაზე;

2. შენობის ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლის გამო ქარხნის ტერიტორიაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებით მოხდა 04 შენობის მთლიანი დემონტაჟი, ხოლო შენობა 01-ის 2ც 12X18მ-იანი მალის და ერთი 6X23,5მ მალის დემონტაჟი მე-9 ღერძამდე და ეხლა ხდება 01 შენობის რეკონსტრუქცია 1-9 და ა-ბ ღერძებში;

3. არსებული შენობა-01 ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლის გამო გახდა სასაწყობე შენობაა და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭიროებს ეზოს მხრიდან ე.წ. რამპის მიშენებას, რომლის ფუნქციაა ტვირთის მიღება, გადმოტვირთვა და გადახარისხება, რის შემდეგაც ხდება მისი დასაწყობება. მისაშენებელი შენობა მოეწყობა არსებული საწყობის მთელ სიგრძეზე და სიგანე ექნება 18მ. ეზოს მხრიდან მასზე მოეწყობა ე.წ. დებარკადერი სატვირთო ავტომანქანებისთვის სიმაღლით 1,1- 1,2მ, რაც მოსახერხებელს გახდის გადმოტვირთვის პროცესს. მიშენების შემდეგ ორივე შენობა იქცევა ერთ დიდ საწყობად;

4. ზემოთ აღნიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია, სარეკონსტრუქციო უნდა შესრულდეს სათანადოთ დამუსავებული პროექტის მიხედვით, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით;

5. შენობის რეკონსტრუქცია მომიჯნავე მიდგმულ ადმინისტრაციულ შენობაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს;

6. ზაჰესი, ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე, ყოფილი ინსტრუმენტების ქარხნის (ს/კ 01.11.04.003.001) შენობა №01-ის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას ეძლევა დადებითი შეფასება.

(ფოტომასალა მოყვანილია დანართში)































